

სს „საქართველოს სახელმწიფო  
ელექტროსისტემა“

2021 წლის კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგება

## სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა, სართული 5

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)

თბილისი, საქართველო 0105

ს/კ 404437695

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის აქციონერს

### *მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### *მოსაზრების საფუძველი*

აუდიტს წარვმმართვედით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის ეთიკის კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### *მმართველობითი ანგარიში*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებებზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვა და შემდგომ განხილვა არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის შედეგად მიღებულ ჩვენს ინფორმაციასთან ან სხვაგვარად არის თუ არა არსებითად დამახინჯებული.



ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე სახის გარანტიებით დასკვნას მმართველობით ანგარიშზე. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნათ, რომ მენეჯმენტის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით შეცდომებს
- შეიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც, იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, გარა იმ შემთხვევისა, როდესაც, ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.



- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტურ დასკვნაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე



- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტურ დასკვნაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე



შპს KPMG Georgia  
 1 აგვისტო, 2022 წელი



*სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“  
2021 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	9	1,158,385	1,169,679
არამატერიალური აქტივები		20,173	18,110
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	21	4,877	4,874
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		46,350	25,842
აქტივები გამოყენების უფლების ფორმით	10	165,434	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9(c)	28,407	19,453
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>1,423,626</b>	<b>1,237,958</b>
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
მარაგები		11,483	8,718
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	32,216	29,333
გადახდილი ავანსები		1,628	30,934
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	21,383	79,685
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>66,710</b>	<b>148,670</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,490,336</b>	<b>1,386,628</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	13(a)	663,104	662,584
დაურეგისტრირებელი კაპიტალი	13(b)	2,098	2,098
უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი	13(d)	318	451
დამატებით გადახდილი კაპიტალი	13(e)	21,180	11,680
დაგროვილი დეფიციტი		(535,062)	(769,856)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>151,638</b>	<b>(93,043)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები და კრედიტები	15	871,635	1,049,595
ანარიცხი	19	18,216	19,856
საიჯარო ვალდებულებები	10	142,323	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	16	95,644	97,250
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>1,127,818</b>	<b>1,166,701</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები და კრედიტები	15	130,422	172,842
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	47,276	135,699
საიჯარო ვალდებულებები	10	29,762	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	16	3,420	4,429
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>210,880</b>	<b>312,970</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>1,338,698</b>	<b>1,479,671</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>1,490,336</b>	<b>1,386,628</b>

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და ქმნის 10-48 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**  
 2021 წლის მოგების ანზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	297,224	181,865
დაკარგული ელექტროენერჯის თვითღირებულება	5	(45,777)	(36,991)
		<b>251,447</b>	<b>144,874</b>
სხვა შემოსავალი		10,587	14,656
ხელფასები და ანაზღაურება		(33,161)	(27,979)
ცვეთა და ამორტიზაცია		(64,526)	(47,362)
გაუფასურების აღდგენა / (გაუფასურების ზარალი)			
ძირითად საშუალებაზე	9	-	167,995
ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავისთვის	19(c)	(6,439)	(19,856)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	18(b)(ii)	(9,445)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(24,240)	(25,021)
<b>შედეგები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>124,223</b>	<b>207,307</b>
ფინანსური შემოსავალი	7	13,076	15,687
ფინანსური ხარჯები	7	97,495	(260,513)
<b>წმინდა ფინანსური ხარჯები</b>		<b>110,571</b>	<b>(244,826)</b>
<b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე</b>		<b>234,794</b>	<b>(37,519)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	(10,350)
<b>მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>234,794</b>	<b>(47,869)</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>			
<i>ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში</i>		-	-
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(133)	21
<b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>234,661</b>	<b>(47,848)</b>

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 აგვისტოს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გიორგი გიგინეიშვილი  
გენერალური დირექტორი

ნინო მაისურაძე  
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და ქმნის 10-48 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.




**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**  
**2021 წლის მოგების ანზარაღის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	297,224	181,865
დაკარგული ელექტროენერჯის თვითღირებულება	5	(45,777)	(36,991)
		<b>251,447</b>	<b>144,874</b>
სხვა შემოსავალი		10,587	14,656
ხელფასები და ანაზღაურება		(33,161)	(27,979)
ცვეთა და ამორტიზაცია		(64,526)	(47,362)
გაუფასურების აღდგენა /(გაუფასურების ზარალი) ძირითად საშუალებაზე	9	-	167,995
ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავისთვის	19(c)	(6,439)	(19,856)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	18(b)(ii)	(9,445)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(24,240)	(25,021)
<b>შედეგები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>124,223</b>	<b>207,307</b>
ფინანსური შემოსავალი	7	13,076	15,687
ფინანსური ხარჯები	7	97,495	(260,513)
<b>წმინდა ფინანსური ხარჯები</b>		<b>110,571</b>	<b>(244,826)</b>
<b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე</b>		<b>234,794</b>	<b>(37,519)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	-	(10,350)
<b>მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>234,794</b>	<b>(47,869)</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი /(ზარალი)</b> <i>ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში</i>		-	-
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(133)	21
<b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>234,661</b>	<b>(47,848)</b>

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 აგვისტოს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

  
 \_\_\_\_\_  
 გიორგი გიგინეიშვილი  
 გენერალური დირექტორი

  
 \_\_\_\_\_  
 ნინო მაისურაძე  
 მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და ქმნის 10-48 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“  
2021 წლის კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება*

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დაურეგისტრირებელი კაპიტალი	საკურსო რეზერვი	დაგროვილი დეფიციტი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	645,065	11,259	430	(671,894)	11,680	(3,459)
<b>სულ სრული ზარალი</b>						
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(47,869)	-	(47,869)
<b>სხვა სრული ზარალი</b>						
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	21	-	-	21
<b>სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში</b>	-	-	<b>21</b>	<b>(47,869)</b>	-	<b>(47,848)</b>
შენატანები მესაკუთრეების მიერ - არაფულადი	16,913	-	-	-	-	16,913
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(58,647)	-	(58,647)
შემცირება დაურეგისტრირებელ კაპიტალში	606	(9,161)	-	8,555	-	-
<b>სულ შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის (იხილეთ შენიშვნა 13(a))</b>	<b>17,518</b>	<b>(9,161)</b>	<b>-</b>	<b>(50,093)</b>	<b>-</b>	<b>(41,736)</b>
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>662,584</b>	<b>2,098</b>	<b>451</b>	<b>(769,856)</b>	<b>11,680</b>	<b>(93,043)</b>
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	662,584	2,098	451	(769,856)	11,680	(93,043)
<b>სულ სრული მოგება</b>						
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	234,794	-	234,794
<b>სხვა სრული ზარალი</b>						
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	(133)	-	-	(133)
<b>სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(133)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(133)</b>
შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის.						
დამატებით გადახდილი კაპიტალი (13(e))	-	-	-	-	9,500	9,500
შენატანები მესაკუთრეების მიერ - არაფულადი	694	-	-	-	-	694
განაწილება მესაკუთრეებისთვის - არაფულადი	(174)	-	-	-	-	(174)
<b>სულ შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის (იხილეთ შენიშვნა 13(a))</b>	<b>520</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>9,500</b>	<b>10,020</b>
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>663,104</b>	<b>2,098</b>	<b>318</b>	<b>(535,062)</b>	<b>21,180</b>	<b>151,638</b>

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და ქმნის 10-დან 48 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“  
2021 წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		<b>234,794</b>	<b>(37,519)</b>
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		64,526	47,362
გაუფასურების ზარალის აღდგენა			
ძირითად საშუალებებზე	9	-	(167,995)
ძირითადი საშუალებების გასხვისებით და ჩამოწერით გამოწვეული ზარალი / (მოგება)		3,132	(1,553)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	18(b)(ii)	9,445	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	7	(107,151)	249,507
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	7,16	(3,420)	(4,681)
ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავებისთვის	19	6,439	19,856
სხვა შემოსავალი რესტრუქტურირებული ვალდებულებების ჩამოწერიდან		-	(8,442)
		<b>207,765</b>	<b>96,535</b>
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		(2,765)	123
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(12,418)	1,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		5,962	(8,467)
გადახდილ ავანსებში		29,306	(8,080)
ანარიცხებში	19	(8,080)	-
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>219,770</b>	<b>81,926</b>
გადახდილი პროცენტი	10,15	(64,675)	(12,108)
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(10,350)	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>144,745</b>	<b>69,818</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>			
მიღებული პროცენტი	7	9,656	9,743
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა, წმინდა		(100,416)	(54,759)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(92,019)</b>	<b>(45,016)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობები სესხებიდან	15	56,205	27,603
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	10	(262)	-
შემოსულობები გრანტებიდან	16	-	4,825
სესხების დაფარვა	15	(116,819)	(50,031)
რესტრუქტურირებული ვალდებულებების დაფარვა		-	(30,625)
გადახდილი დივიდენდი	8	(58,650)	-
დამატებით გადახდილი კაპიტალი	13(e)	9,500	-
<b>საფინანსო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(110,026)</b>	<b>(48,228)</b>
<b>წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>		<b>(57,300)</b>	<b>(23,426)</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს</b>	12	79,685	101,157
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,002)	1,954
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს</b>	12	<b>21,383</b>	<b>79,685</b>

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და ქმნის 10 - 48 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

## 1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

### (a) ორგანიზაცია და საქმიანობები

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას რეგისტრირებულს და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 21.

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს „ელექტროგადამცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტრია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს..

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (NASP) 2020 წლის 16 დეკემბერს გაცემული №1/1-3737 დადგენილების შესაბამისად, შპს ენერგოტრანსი შეერწყა თავის უშუალო მშობელ კომპანიას - სს „სახელმწიფო ელექტროსისტემას“. შერწყმა განხორციელდა 2021 წლის 21 იანვარს. კომპანია გახდა შპს „ენერგოტრანსის“ კანონიერი სამართალმემკვიდრე. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს „ენერგოტრანსი“ და კომპანია, მოქმედებენ, როგორც ერთი კომპანია.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

ჯგუფის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის გადაცემა, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერჯის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერჯის მიწოდების ჩათვლით, ვარძიისა და ზეკარი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „მავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) ფარგლებში. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს.

2021 წლის 24 ივნისს გამოშვებული, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) №28/1 დადგენილების შესაბამისად გადაცემის და განაწილების ლიცენზიები გაუქმდა და მათ ნაცვლად ჯგუფს მიენიჭა ერთიანი გადაცემის სისტემის ოპერატორის ლიცენზია.

2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიის სს „საპარტნიორო ფონდის“ აქციები გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. დაკავშირებული მხარის გარიგებები წარმოდგენილია შენიშვნაში 21.

საქართველოს მთავრობის, 2020 წლის 16 აპრილის დადგენილება N246-ის საფუძველზე შეიქმნა ბაზრის ახალი კონცეფცია. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ბაზრის ახალი კონცეფცია ძალაში 2021 წლის 1 ივლისიდან შევიდოდა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება N244-ის საფუძველზე, ცვლილებები ბაზრის კონცეფციაში 2022 წლის იანვრამდე გადაიდო. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №89-ის საფუძველზე, ბაზრის კონცეფციაში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა კვლავ გადაიდო 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს და ახალი ბაზრის კონცეფციის შემოღებას ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის დადგენილება N1012-ის საფუძველზე, გარკვეული სამთავრობო დაწესებულებების ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესი იქნა დამტკიცებული, რომლის მიხედვითაც კომპანიის ფინანსური ზედამხედველი ფინანსთა სამინისტრო გახდა.

#### **(b) საქართველოს ბიზნეს გარემო**

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობა ბიზნეს გარემოში.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

## **2. მომზადების საფუძველი**

### **(a) შესაბამისობის განცხადება**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

## **3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (ლარი), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის ყოველი საწარმოს სამუშაო ვალუტა წარმოადგენს ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს ოპერაციებს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევებისა.

## **4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს“-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში: შენიშვნა 10 - იჯარის ვადის განსაზღვრა და შენიშვნა 23(i)(iii) - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

### **სამართლიანი ღირებულებების შეფასება**

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* ამოსავალი მონაცემები პირველ დონეში მითითებული კოტირებული ფასების გარდა, რომლებიც ემპირიულია აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. ფასებისაგან წარმოებული).
- *დონე 3:* ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 18 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

## **5. შემოსავალი**

<b>'000 ლარი</b>	<b>2021</b>	<b>2020</b>
<b>ამონაგები მომხმარებლებთან</b>		
<b>გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b>		
შემოსავალი ელექტროენერჯის გადაცემიდან	254,773	133,489
შემოსავალი ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციიდან	19,742	39,510
შემოსავალი ელექტროენერჯის ექსპორტიდან	8,682	2,777
შემოსავალი ტრანზიტიდან	11,824	1,100
სხვა შემოსავალი	2,203	4,989
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>297,224</b>	<b>181,865</b>

შემოსავალი ექსპორტიდან მოიცავს შემოსავლებს ელექტროენერჯის გადაცემიდან და დისპეტჩერიზაციიდან. შემოსავალი გამოითვლება სემეკ-ის მიერ დადგენილი გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე.

2021 წლის განმავლობაში, რამდენიმე ცვლილება განხორციელდა ელექტროენერჯის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფებში. ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფები წლის განმავლობაში იყო: 2021 წლის 1 – 20 იანვრამდე პერიოდში 1 კვტ.სთ ტარიფი შეადგენდა 0.01381 ლარს; 2021 წლის 20 იანვრიდან 30 ივნისამდე პერიოდში 1 კვტ. სთ ტარიფი შეადგენდა 0.02018 ლარს; ელექტროენერჯის დისპეტჩირების ტარიფი 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისამდე შეადგენდა 0.00388 ლარს 1 კვტ.სთ-ზე.

2021 წლის 1 ივლისიდან „სემეკის“ #28/1 დადგენილების შესაბამისად, რომელიც თარიღდება 2021 წლის 24 ივნისით, კომპანია გახდა ერთადერთი გადამცემი სისტემის ოპერატორი (TSO), რომელიც პასუხისმგებელია მთლიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მართვაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და სათანადო ექსპლუატაციაზე. გაუქმდა ელექტროენერჯის გადამცემის და დისპეტჩერიზაციის ცალკეული ტარიფები, გაუქმდა კომპანიაზე გაცემული დისპეტჩერიზაციის ლიცენზია და დადგინდა ახალი გადამცემი სისტემის ლიცენზიატის ტარიფი, რომელიც შეადგენს 0.02664 ლარს კვტ.სთ-ზე 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის.

2018 წლის 4 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია ანაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის (ესკო) გადამცემის პროცესშიდაკარგული ელექტროენერჯის ხარჯი . ანაზღაურებული ხარჯები, რომელიც შეადგენს 45,777 ათას ლარს (2020 წელს: 36,991 ათასი ლარი), წარმოდგენილია ელექტროენერჯის დანაკარგის სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

**(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების დაყოფა**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები დაყოფილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, ძირითადი შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

'000 ლარი	2021	2020
<b>ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები</b>		
ადგილობრივი	285,400	180,765
უცხოური	11,824	1,100
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>297,224</b>	<b>181,865</b>

**(b) სახელშეკრულებო ნაშთები**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების, სახელშეკრულებო აქტივების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	31,643	27,211

ბიზნეს ოპერაციების ბუნების გამო, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სახელშეკრულებო ნაშთები არ არსებობს.

**(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები**

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე კლიენტს, იხილეთ შენიშვნა 23 (b).



## 6. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,890	6,691
აუდიტის და კონსულტაციის ხარჯები	3,236	1,742
დაცვის ხარჯები	2,946	3,140
ტრანსპორტირების ხარჯები	1,823	1,464
სადაზღვევო ხარჯები	1,791	1,889
სამივლინებო ხარჯები	1,445	1,200
მოკლევადიანი იჯარები	933	608
ტექნიკური მომსახურების და რემონტის ხარჯები	652	604
საურავები სესხების გადაუხდელობაზე	-	1,790
ჯარიმები	-	643
სხვა	5,524	5,250
	<b>24,240</b>	<b>25,021</b>

აუდიტის და კონსულტაციის ხარჯები მოიცავს აუდიტის მოსაკრებელს, რომელიც შეადგენს 140 ათას ლარს 2021 წლისთვის (2020 წელს: 130 ათასი ლარი).

## 7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2021	2020
<b>აღიარებული მოგებაში ან ზარალში</b>		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	9,656	9,743
შემოსავალი გრანტის ამორტიზაციიდან	3,420	4,681
შემოსულობა ფინანსური	-	-
ინსტრუმენტების მოდიფიცირებიდან	-	1,263
<b>ფინანსური შემოსავალი</b>	<b>13,076</b>	<b>15,687</b>
საპროცენტო ხარჯი სესხებზე და კრედიტებზე	(22,483)	(22,955)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(12,138)	-
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებაზე	(1,351)	-
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	-
რესტრუქტურირებულ ვალდებულებებზე	-	(7,838)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა	-	-
შემოსულობა/(ზარალი)	133,467	(229,720)
<b>ფინანსური ხარჯები, წმინდა</b>	<b>97,495</b>	<b>(260,513)</b>
<b>წმინდა ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან ზარალში</b>	<b>110,537</b>	<b>(244,826)</b>

2021 წელს, ჯგუფმა მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის კაპიტალიზაცია 4,419 ათასი ლარის ოდენობით (2020 წელს: 7,365 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 9(b).

## 8. მოგების გადასახადის ხარჯი

### (a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

100 ლარი	2021	2020
იმდინარე წელი	-	10,351
იმდინარე საგადასახადო ხარჯი	-	<b>10,351</b>

(b) მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2021		2020	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	-		58,649	
გადასახადი ჯგუფის შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	-	-	10,350	17.6%
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	<b>10,350</b>	<b>17.6%</b>

9. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა, შენობები და ნაგებობები	ელექტროგადამცემი ხაზები	მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუსრულებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობა	სულ
<b>თვითღირებულება და დასაშვები საწყისი ღირებულება</b>					
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	137,284	462,408	879,762	248,365	1,727,819
დამატებები	16,012	899	99	41,612	58,622
გასხვისება/ჩამოწერა	-	-	(705)	(8,036)	(8,741)
გადაცემა	1,166	86,719	9,421	(97,306)	-
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>154,462</b>	<b>550,026</b>	<b>888,577</b>	<b>184,635</b>	<b>1,777,700</b>
ნაშთი 2021 წლის					
1 იანვარს	154,462	550,026	888,577	184,635	1,777,700
დამატებები	933	681	1,587	61,721	64,922
გასხვისება/ჩამოწერა	-	(29)	(3,922)	(20,285)	(24,236)
გადაცემა	17,283	22,125	12,748	(52,156)	-
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>172,678</b>	<b>572,803</b>	<b>898,990</b>	<b>173,915</b>	<b>1,818,386</b>
<b>ცვეთის და გაუფასურების ზარალი</b>					
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	(48,561)	(246,025)	(418,018)	(18,210)	(730,814)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,545)	(13,394)	(28,770)	-	(45,709)
გასხვისებები	-	-	72	435	507
გაუფასურების ზარალი	9,328	47,669	98,680	12,318	167,995
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(42,778)</b>	<b>(211,750)</b>	<b>(348,036)</b>	<b>(5,457)</b>	<b>(608,021)</b>
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	(42,778)	(211,750)	(348,036)	(5,457)	(608,021)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,709)	(14,546)	(33,888)	-	(53,143)
გასხვისებები	-	5	1,158	-	1,163
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(47,487)</b>	<b>(226,291)</b>	<b>(380,766)</b>	<b>(5,457)</b>	<b>(660,001)</b>
<b>საბალანსო ღირებულებები</b>					
2020 წლის 1 იანვარს	88,723	216,383	461,744	230,155	997,005
2020 წლის 31 დეკემბერს	111,684	338,276	540,541	179,178	1,169,679
2021 წლის 31 დეკემბერს	125,191	346,512	518,224	168,458	1,158,385

2021 წლის განმავლობაში, უშუალო მშობელმა კომპანიამ განახორციელა 694 ათასი ლარის (2020 წელს: 16,912 ათასი ლარი) ოდენობის შენატანი კომპანიის კაპიტალურ მიწის ნაკვეთების სახით და შეამცირა კაპიტალი 174 ათასი ლარით დანადგარების და ელექტროგადამცემი ხაზების გატანით (2020 წელს: ნული ლარი), სააქციო კაპიტალის მატების და კლების სახით, შესაბამისად.

**(a) უზრუნველყოფა**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად), რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 37,648 ათას ლარს (31 დეკემბერი 2020 წელი: 41,450 ათას ლარს), დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სესხების, კრედიტებისა და რესტრუქტურირებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ მე-15 და მე-16 შენიშვნები).

**(b) დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობა**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 168,458 ათასი ლარის ღირებულების (31 დეკემბერი 2020 წელი: 179,178 ათასი ლარი) დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობა მოიცავს 33,286 ათასი ლარის (31 დეკემბერი 2020 წელი: 27,442 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილებს და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების მხარდასაჭერად, და 141,016 ათასი ლარის (31 დეკემბერი 2020 წელი: 151,736 ათასი ლარი) დაუმთავრებელ მშენებლობას.

**(c) სხვა გრძელვადიანი ქტივები**

სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, დამხმარე და მომსახურე აღჭურვილობას, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებების განსაზღვრებას და საჭიროა ჯგუფის ძირითადი საშუალებების სათანადო ყოველდღიური ოპერირებისათვის, აგრეთვე იხილეთ შენიშვნა 23 (k).

**10. იჯარები**

ინფორმაცია იჯარების შესახებ, რომელთან დაკავშირებით კომპანია არის მოიჯარე, წარმოდგენილია ქვემოთ:

<b>'000 ლარი</b>	<b>ელექტროგადამცემი ხაზები</b>
<i>აქტივების გამოყენების უფლება</i>	
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	-
დამატებები	172,347
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>172,347</b>
 <i>ცვეთა</i>	
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	-
ცვეთის დანარიცხი	(6,913)
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(6,913)</b>
 <b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს</b>	<b>-</b>
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>165,434</b>
 <b>საიჯარო ვალდებულებები</b>	
საიჯარო ვალდებულება 2021 წლის 1 იანვარს	-
დამატებები	172,347
საპროცენტო ხარჯი	12,138
საიჯარო ვალდებულების გადახდები	(12,400)
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>172,085</b>

2021 წლის 1 ივლისიდან, „სემეკის“ #281/1 რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც თარიღდება 2021 წლის 24 ივნისით, კომპანია გახდა ერთადერთი კომპანია, რომელსაც აქვს ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზია (იხილეთ შენიშვნა 5). ამ ცვლილების შედეგად 2021 წლის 1 ივლისიდან კომპანიამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება სს გაერთიანებულ ენერჯოსისტემასთან საქრუსენერჯოსთან ელექტროგადამცემი ხაზების იჯარის შესახებ. ამ ხელშეკრულების შედეგად კომპანიამ აღიარა ზემოხსენებულ ხაზებთან დაკავშირებით აქტივის გამოყენების უფლება. იჯარის ვადა განისაზღვრა იჯარით აღებული აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადით, რომელიც მერყეობს 10-დან 25წლამდე. მომავალი იჯარის გადახდების დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 15%-ით.

## 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2021	2020
<b>მიმდინარე მოთხოვნები</b>		
სავაჭრო მოთხოვნები	58,140	44,263
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	(26,497)	(17,052)
<b>სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით</b>	<b>31,643</b>	<b>27,211</b>
საგადასახადო ვალდებულება	-	693
სხვა მოთხოვნები	2,790	3,429
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(2,217)	(2,000)
	<b>32,216</b>	<b>29,333</b>

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია შენიშვნაში 18.

## 12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2021	2020
საბანკო ნაშთები	21,383	79,685
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში</b>	<b>21,383</b>	<b>79,685</b>

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ან ვადაგადაცილებას არ ჰქონია ადგილი.

ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია შენიშვნაში 18.

## 13. კაპიტალი

### (a) სააქციო კაპიტალი

*აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული*

	<b>ჩვეულებრივი აქციები</b>	
	2021	2020
ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი
გამოცემული 1 იანვრის მდგომარეობით	662,583,016	645,064,179
გამოცემული წლის განმავლობაში	694,964	17,518,837
გამოსყიდული წლის განმავლობაში	(173,600)	-
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული</b>	<b>663,104,340</b>	<b>662,583,834</b>

## ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ ერთი ხმის უფლება ერთ აქციაზე კომპანიის კრებებზე.

2021 წელს კომპანიის აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 694 ათასი ჩვეულებრივი აქციების გამოშვება და გამოისყიდა 174 ათასი ჩვეულებრივი აქცია (2020 წელს: 17,518 ათასი) თითოეული აქცია 1 ლარის ღირებულებით. გამოშვებული და გამოსყიდული აქციები გადახდილი იქნა არა-ფულადი შენატანით.

### (b) დაურეგისტრირებელი კაპიტალი

დაურეგისტრირებელი კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში და ასევე სხვა განსხვავებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ შეტანილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის.

### (c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კომპანიის კანონმდებლობით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წელს კომპანიამ გადაიხადა დივიდენდი 58,650 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გამოცხადდა 2020 წელს. 2020 წლის 31 დეკემბერს ვალდებულება შეტანილი იქნა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (შენიშვნა 17).

### (d) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ყველა სხვაობისგან, რომელიც წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

### (e) დამატებით გადახდილი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალი დაკავშირებულია საქართველოს მთავრობისგან მიღებულ სახსრებთან (9,500 ათასი ლარი) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან შპს „ენერგოტრანსისთვის“ გაცემული სესხის მოდიფიცირებასთან (11,680 ათასი ლარი).

2019 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს ენერგოტრანსს შორის შეთანხმებული იქნა ახალი დაფარვის განრიგი, რომლის შესაბამისად სესხის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2029 წლამდე. თავდაპირველი დაფარვის ვადა იყო 2020 წლის 30 დეკემბერი. ზარალი მოდიფიცირებული სესხის სამართლიან ღირებულებას და თავდაპირველი სესხის საბალანსო ღირებულებას შორის 11,680 ლარის ზარალი აღიცხვია როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

## 14. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების, დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, ასევე სესხებისა და კრედიტების საშუალებით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

## 15. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 18.

'000 ლარი	2021	2020
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	857,661	1,034,896
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებიდან	13,974	14,699
	<b>871,635</b>	<b>1,049,595</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		
არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი საფინანსო დაწესებულებებიდან	130,422	172,842
	<b>130,422</b>	<b>172,842</b>

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**  
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

**(a) პირობები და სესხის დაფარვის განრიგი**

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

'000 ლარი	<b>31 დეკემბერი 2021</b>				
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<b>არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან :</b>					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	KfW საორიენტაციო განაკვეთი +4%	2028	227,665	220,217
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor+1%	2027	91,739	91,364
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ADB	SDR	1%-1.5%	2044	124,639	124,639
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	2.2%	2025	58,274	58,274
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - WB	აშშ დოლარი	სარეფერენტო განაკვეთი სესხის ვალუტისათვის +ცვლადი საპროცენტო განაკვეთი	2038	180,619	180,619
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო KfW ახალი	ევრო	0.25-0.05%	2032	19,279	19,279
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	22,327	22,327
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IBRD	ევრო	სარეფერენტო განაკვეთი+ფიქსირებული ზრდა	2044	26,837	26,837
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	EURIBOR+0.35%	2034	44	44
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	EURIBOR+0.75%	2033	192,914	192,914
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor+1%	2028	51,569	51,569
<b>უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:</b>					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.5%	2029	24,990	13,974
<b>სულ პროცენტთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>				<b>1,020,896</b>	<b>1,002,057</b>



**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**  
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

<b>31 დეკემბერი 2020</b>					
'000 ლარი	ნომინალური საპროცენტო		დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
	ვალუტა	განაკვეთი			
<b>არაუზრუნველყოფილი სესხებისაფინანსო დაწესებულებებიდან:</b>					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	29,162	29,162
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor+1%	2025-2028	62,504	62,504
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ADB	SDR	1%-1.5%	2044	146,327	146,327
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	2.20%	2025	80,009	80,009
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - WB	აშშ დოლარი	სარეფერენტო განაკვეთი სესხის ვალუტისათვის +ცვლადი საპრ. განაკვეთი	2038	163,603	163,603
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW ახალი	ევრო	0.25%-0.05%	2032	5,413	5,413
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	EURIBOR+0.35%	2034	49	49
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IBRD	ევრო	სარეფერენტო განაკვეთი+ფიქსირებული ზრდა	2044	21,716	21,716
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	KfW საორიენტაციო განაკვეთი +4%	2028	333,364	322,589
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	Euribor + 0.75%	2033	252,370	252,370
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor + 1%	2027	124,350	123,996
<b>უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:</b>					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.50%	2029	28,693	14,699
<b>სულ პროცენტაანი ვალდებულებები</b>				<b>1,247,560</b>	<b>1,222,437</b>

2021 წლის 31 დეკემბერს, ძირითადი საშუალებების ერთეულები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემი ხაზებით და დაკავშირებული ტექნიკური მოწყობილობა), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 37,648 ათას ლარს (31 დეკემბერი 2020 წელი: 41,450 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სესხების და კრედიტებისთვის და რესტრუქტურირებული ვალდებულებებისთვის აღნიშნული სამინისტროს წინაშე.

არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან არის ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB) და Kreditanstalt für Wiederaufbau (KfW) მიღებული სესხები. სესხები EBRD, EIB და KfW ბანკებიდან გამოეყო საქართველოს მთავრობას „შავი ზღვის გადამცემი ქსელის“ პროექტთან დაკავშირებით ახალი ენერგოგადამცემი ხაზების მშენებლობისთვის. თავის მხრივ საქართველოს მთავრობამ, მიღებული თანხები, დაფარვის ვალდებულებასთან ერთდ გადასცა ჯგუფს. კრედიტორებმა იურიდიულად არ გაათავისუფლეს საქართველოს მთავრობა სესხების დაფარვის მთავარი პასუხისმგებლობისგან, შესაბამისად საქართველოს მთავრობა მოქმედებდა მარწმუნებლის სახით აღნიშნულ გარიგებებში და ჯგუფის მიერ გადასახდელი სესხები მიმართულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსკენ.

### ფინანსური კოვენანტის დარღვევა

2021 წელს EBRD-ისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით, ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს საერთო წმინდა ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში არაუმეტეს 4.5-ისაჯგუფმა დაარღვია აღნიშნული კოვენანტი. აღნიშნული კოვენანტის შესრულების მოთხოვნა უარყოფილი იქნა 2021 წლისთვის და შესაბამისი უარი მიღებული იქნა 2021 წლის დეკემბერში.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფულად ნაკადებთან, რომელიც წარმოიქმნა საფინანსო საქმიანობებიდან

'000 ლარი	სესხები და კრედიტები
<b>ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს</b>	<b>1,222,437</b>
შემოსულობები სესხებიდან და კრედიტებიდან	56,205
სესხების დაფარვა	(116,819)
<b>სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან</b>	<b>(60,614)</b>
<b>გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა</b>	<b>(135,482)</b>
საპროცენტო ხარჯი	22,483
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	4,419
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(52,537)
ზარალი/(მოგება) ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებაზე	1,351
<b>სულ სხვა ცვლილებები</b>	<b>(24,284)</b>
<b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>1,002,057</b>

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	რესტრუქტურით ეზული	
		ვალდებულება*	სულ
<b>ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს</b>	<b>1,002,088</b>	<b>45,751</b>	<b>1,047,839</b>
შემოსულობები სესხებიდან	27,603	-	27,603
სესხების დაფარვა	(50,031)	-	(50,031)
დამატებები რესტრუქტურით ვალდებულებებზე	-	264	264
რესტრუქტურით ვალდებულებების დაფარვა	-	(30,889)	(30,889)
<b>სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან</b>	<b>(22,428)</b>	<b>(30,625)</b>	<b>(53,053)</b>
<b>გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა</b>	<b>225,828</b>	<b>-</b>	<b>225,828</b>
საპროცენტო ხარჯი	22,955	-	22,955
ურთიერთგადაფარვა გადახდილ ავანსებთან	-	(13,219)	(13,219)
კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები	7,365	-	7,365
დისკონტის პოზიციის დახურვა	-	7,838	7,838
რესტრუქტურით ვალდებულებების ჩამოწერა	-	(8,442)	(8,442)
სავაჭრო ვალდებულებებში გადატანა გარანტირებულ დეპოზიტით	-	(1,303)	(1,303)
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(12,108)	-	(12,108)
მოგება ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიცირებაზე	(1,263)	-	(1,263)
<b>სულ სხვა ცვლილებები</b>	<b>16,949</b>	<b>(15,126)</b>	<b>1,823</b>
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>1,222,437</b>	<b>-</b>	<b>1,222,437</b>

\* 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დაფარა სარეაბილიტაციო გეგმასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება და დატოვა გეგმა. ყველა რესტრუქტურით ვალდებულება დაიფარა 2020 წლის განმავლობაში.

## 16. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	101,679	105,571
მიწერილი სხვა შემოსავალში მოგებაში ან ზარალში	(3,420)	(4,681)
გრანტის აღიარების შეწყვეტა	(3,729)	-
მიღებული წლის განმავლობაში	4,534	789
<b>ნაშთი 31 დეკემბერს</b>	<b>99,064</b>	<b>101,679</b>
გრძელვადიანი	95,644	97,250
მოკლევადიანი	3,420	4,429
	<b>99,064</b>	<b>101,679</b>

2021 წლის განმავლობაში, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ გრანტების გამოყენებით შესყიდული ძირითადი საშუალებების ნაწილი საჭიროებს ჩამოწერას. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ პროექტი, რომელზეც საგრანტო სახსრები იქნა გამოყენებული, განისაზღვრა ეკონომიკურად უსარგებლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად, შესაბამისი ძირითადი საშუალებების და საგრანტო ვალდებულებების აღიარება შეწყდა.

წლის განმავლობაში მიღებული გრანტები წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიერ მომწოდებელზე უშუალოდ გადახდილ თანხებს ქონებისა და აღჭურვილობის შესაძენად.

## 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ვალდებულები შესრულებულ სამშენებლო სამ. დაკავშირებით	16,941	38,990
გადასახდელი დივიდენდები (შენიშვნა 13(c))	-	58,650
სხვა ვალდებულებები	29,734	21,112
საგადასახადო ვალდებულება	601	9,131
მიღებული ავანსები	-	7,816
<b>ნაშთი 31 დეკემბერს</b>	<b>47,276</b>	<b>135,699</b>

ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია შენიშვნაში 18.

## 18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

### (a) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. თუმცა განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის დადებული თანმიმდევრული გარიგების ფარგლებში. გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგია არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება

ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული პროცენტის საბაზრო განაკვეთით, საანგარიშგებო თარიღისთვის.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

**(b) ფინანსური რისკის მართვა**

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 18 (b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 18 (b)(iii);
- საბაზრო რისკი – შენიშვნა 18 (b)(iv).

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**(i) რისკის მართვის სტრუქტურა**

მმართველთა საბჭოს ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის საზღვრების განსაზღვრისა და ზედამხედველობის პასუხისმგებლობა.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და კონტროლის მექანიზმების დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები განიხილება რეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები.

მმართველთა საბჭოს მის ზედამხედველობის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი.

**(ii) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და წარმოიშობა ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ნაშთებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური საკრედიტო რისკის გამოვლენას.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტული ანგარიშსწორების და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 20% (2020 წელი: 45%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ერთ მომხმარებელთან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ მოსალოდნელი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეზერვის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკებს. საკრედიტო ზარალის მთავარი ნაწილი 3 წელზე მეტი ვადისაა.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ კლინეტების მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს:

'000 ლარი	2021	2021	2021
კლიენტის საკრედიტო რისკის ხარისხი	<b>არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული</b>	<b>საკრედიტო რისკით გაუფასურებული</b>	<b>სულ</b>
დაბალი რისკი	31,643	-	31,643
მაღალი რისკი	-	26,497	26,497
<b>სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>31,643</b>	<b>26,497</b>	<b>58,140</b>
ზარალის რეზერვი	-	(26,497)	(26,497)
	<b>31,643</b>	<b>-</b>	<b>31,643</b>

'000 ლარი	2020	2020	2020
კლიენტის საკრედიტო რისკის ხარისხი	<b>არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული</b>	<b>საკრედიტო რისკით გაუფასურებული</b>	<b>სულ</b>
დაბალი რისკი	27,211	-	27,211
მაღალი რისკი	-	17,052	17,052
<b>სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>27,211</b>	<b>17,052</b>	<b>44,263</b>
ზარალის რეზერვი	-	(17,052)	(17,052)
	<b>27,211</b>	<b>-</b>	<b>27,211</b>

ჯგუფი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის ხარისხებს შემდეგი სახით:

დაბალი რისკი - კონტრაქტებს აქვთ მტკიცე შესაძლებლობა შეასრულონ თავიანთი ფულადი ნაკადების სახელმწიფო ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს პირობებში გრძელვადიან პერსპექტივაში სავარაუდოდ არ შეამცირებს კონტრაქტების შესაძლებლობას შეასრულონ თავიანთი ფულადი ნაკადების სახელმწიფო ვალდებულებები.

მაღალი რისკი - კონტრაქტებს აქვთ სუსტი შესაძლებლობა შეასრულონ თავიანთი ფულადი ნაკადების სახელშეკრულებოვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და ბიზნეს პირობებში გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა შეამციროს კონტრაქტების შესაძლებლობები შეასრულონ თავიანთი ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვალდებულებები. მაღალი რისკის ხარისხისთვის შეწონილი საშუალო ზარალის განაკვეთი დაახლოებით 100%-ს შეადგენს (2020 წელი: 100%).

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	ინდივიდუალური გაუფასურებები	
	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	17,052	16,909
უიმედო ვალის რეზერვი	9,445	143
ნაშთი წლის ბოლოს	<b>26,497</b>	<b>17,052</b>

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ ანაზღაურების ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული. ამ დროს თანხები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივებიდან.

გასული წლების გადაუხდელობის სტატისტიკის მიხედვით, ჯგუფს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი გაუფასურების რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B.

### **(iii) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც ჯგუფს შეექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შემდგომად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის შეზღავანის გარეშე.

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს. ჯგუფმა განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტების პროცესი მფლობელთან ერთად. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს მფლობელი. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს, მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებებზე გადაჭარბებული ოდენობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება.

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 296,490 ათასი ლარის (31 დეკემბერი 2020 წელი: 176,815 ათასი ლარი) ოდენობით. კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული გამოუყენებელი სესხებით. გამოუყენებელი სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,044,652 ათას ლარს (31 დეკემბერი 2020 წელი: 1,540,539 ათასი ლარი).

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**  
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენის გარეშე.

**2021**

'000 ლარი	<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>სახელშეკრულებო ფულადი ნაკადი</u>	<u>1 წლამდე</u>	<u>1-5 წლამდე</u>	<u>5 წელზე მეტი</u>
<b>არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>					
არაუზრუნველყოფილი სესხები					
საფინანსო დაწესებულებებიდან	988,083	1,115,884	163,315	486,752	465,817
უზრუნველყოფილი სესხი					
დაკავშირებული მხარეებიდან	13,974	-	-	-	24,990
საიჯარო ვალდებულებები	172,085	391,524	29,762	119,047	242,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,675	46,675	-	-	-
	<b>1,220,817</b>	<b>1,554,083</b>	<b>193,077</b>	<b>605,799</b>	<b>733,522</b>

**2020**

'000 ლარი	<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>სახელშეკრულებო ფულადი ნაკადი</u>	<u>1 წლამდე</u>	<u>1-5 წლამდე</u>	<u>5 წელზე მეტი</u>
<b>არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>					
არაუზრუნველყოფილი სესხები					
საფინანსო დაწესებულებებიდან	1,207,738	1,358,067	178,522	524,699	654,846
უზრუნველყოფილი სესხი					
დაკავშირებული მხარეებიდან	14,699	28,693	-	-	28,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	60,102	60,102	60,102	-	-
	<b>1,282,539</b>	<b>1,446,862</b>	<b>238,624</b>	<b>524,699</b>	<b>683,539</b>

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი ნაკადები წარმოდგენილი იქნას მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

**(iv) საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დაქვემდებარების მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების ფონზე.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

**სავალუტო რისკი**

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ სავალუტო კურსების ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებას გამოიწვევს. ჯგუფის დაქვემდებარება სავალუტო კურსებში მომხდარი ცვლილებების მიმართ ძირითადად უკავშირდება ევროში, აშშ დოლარში და SDR-ში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს მის სავალუტო რისკზე დაქვემდებარების ჰეჯირებას.



### სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

'000 ლარი	SDR-ში დენომინირებული 2021	აშშ დოლარში დენომინირებული 2021	ევროში დენომინირებული 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,504	64
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	9,865	1,477
სესხები და კრედიტები	(124,639)	(180,619)	(696,833)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(2,162)	(18,700)
<b>წმინდა დაქვემდებარება</b>	<b>(124,639)</b>	<b>(169,412)</b>	<b>(713,992)</b>

'000 ლარი	SDR-ში დენომინირებული 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 2020	ევროში დენომინირებული 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,306	74
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	12,931	640
სესხები და კრედიტები	(146,327)	(163,603)	(912,860)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(15,834)	(26,024)
<b>წმინდა დაქვემდებარება</b>	<b>(146,327)</b>	<b>(165,200)</b>	<b>(938,170)</b>

წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
	2021	2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766
1 ევრო	3.8140	3.5519	3.5040	4.0233

### მგრძობელობის ანალიზი

ლარის გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდის (შემამცირებს) მოგებას ან ზარალს ქვემოთ მოცემული ოდენობებით. გავლენა არ აღინიშნა სხვა სრულ შემოსავალსა თუ უშუალოდ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც ჯგუფმა მიიჩნია საკმაოდ შესაძლებლად საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

'000 ლარი	გამყარება მოგება	შესუსტება (ზარალი)
<b>31 დეკემბერი 2021</b>		
აშშ დოლარი (10%-იანი დინამიკა)	16,941	(16,941)
ევრო (10%-იანი დინამიკა)	71,396	(71,396)
SDR (10%-იანი დინამიკა)	12,463	(12,463)
<b>31 დეკემბერი 2020</b>		
აშშ დოლარი (10%-იანი დინამიკა)	16,520	(16,520)
ევრო (10%-იანი დინამიკა)	93,817	(93,817)
SDR (10%-იანი დინამიკა)	14,633	(14,633)

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის მქონე დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად თუ რამდენად უნდა ექვემდებარებოდეს ჯგუფი ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. , თუმცა ახალი სესხის ან კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე.

## პროფილი

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის პროცენტული ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2021	2020
<b>ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები</b>		
ფინანსური აქტივები	21,383	79,685
ფინანსური ვალდებულებები	(219,214)	(270,197)
	<b>(197,831)</b>	<b>(190,512)</b>
<b>ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები</b>		
ფინანსური ვალდებულებები	(782,843)	(952,240)
	<b>(782,843)</b>	<b>(952,240)</b>

## სამართლიანი ღირებულების მგრძობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

## ფულადი ნაკადების მგრძობელობის ანალიზი ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

საანგარიშგებო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზო პუნქტის ცვლილება გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი აკეთებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადები კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები რჩება უცვლელი. 2020 წლის ანალიზი ტარდება იგივე საფუძველზე.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
<b>31 დეკემბერი 2021</b>		
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	(78,284)	78,284
<b>ფულადი ნაკადების მგრძობელობა (წმინდა)</b>	<b>(78,284)</b>	<b>78,284</b>
<b>31 დეკემბერი 2020</b>		
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	(95,224)	95,224
<b>ფულადი ნაკადების მგრძობელობა (წმინდა)</b>	<b>(95,224)</b>	<b>95,224</b>

## 19. პირობითი ვალდებულებები და ანარიცხები

### (a) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

### (b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ განცხადებებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, არანაირი ვალდებულება დამატებით გადასახადებზე, საურავებზე ან პირგასამტებლოებზე არ დაწესდება საგადასახადო ორგანოების მიერ იმ წლის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ, როდესაც ადგილი ჰქონდა დარღვევას.

ზემოხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით აღასრულებენ თავიანთ ინტერპრეტაციებს.

### (c) ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავისთვის

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	19,856	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	6,440	19,856
გადახდა/გამოქვითვა წლის განმავლობაში	(8,080)	-
<b>ნაშთი 31 დეკემბერს</b>	<b>18,216</b>	<b>19,856</b>

2021 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ კონტრაქტთან და შეთანხმდა, რომ კონკრეტული თანხის გადახდით საქმე დაიხურებოდა, შედეგად ჯგუფმა კონტრაქტს გადაუხადა 8,080 ათასი ლარი.

სხვა საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას, მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმება და ჯგუფის ხელმძღვანელობამ აღიარა დამატებითი ანარიცხი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 4,009 ათასი ლარის ოდენობით.

ანარიცხების ხარჯის დანარჩენი ნაწილი, რომელიც შეადგენს 2,431 ლარს, უკავშირდება იმ საქმეებს, რომელშიც ჯგუფი მონაწილეობს. ანარიცხები გაკეთდა ჯგუფის ხელმძღვანელობის ოპტიმალური მიახლოების საფუძველზე პროცესებთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის შესახებ.

## 20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

### (a) კონტროლის ურთიერთობები

კომპანიის უშუალო და საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა.

### (b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

#### (i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამწლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებსა და გასამრჯელოებში::

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	1,456	2,121

### (c) ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

ჯგუფი ყოველდღიურ საქმიანობებს აწარმოებს მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც კონტოლდება, ერთობლივად კონტოლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს (IAS) 24-ის - ინფორმაციები დაკავშირებული მხარების შესახებ - გამონაკლისის გამოყენება, რაც იძლევა შესაბამისი მხარის მიერ ინფორმაციის შემცირებული სახით გამჟღავნების შესაძლებლობას სამთავრობო ორგანოებთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ყველა სესხი და კრედიტი, ასევე საპროცენტო ხარჯი აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე ექვემდებარება გადახდას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფისგრანტები ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს მთავრობა მოქმედებს შუამავლის სახით. ჯგუფის რესტრუქტურირებული ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს მთავრობის ან სამთავრობო ორგანოების მიმართ არსებული ვალდებულებებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 2% (2020 წელს: 1%) მიიღება სამი საწარმოდან, რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ან კონტოლდება საქართველოს მთავრობის მიერ.

## 21. შვილობილი კომპანიები

	რეგისტრაციის ქვეყანა	2021 საკუთრების / ხმის მიცემის უფლება	2020 საკუთრების / ხმის მიცემის უფლება
<b>შვილობილი კომპანია</b>			
Karcal Energy JSC	თურქეთი	99%	100%

2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო) ერთად დააფუძნა ახალი საწარმო შპს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ სადაც ფლობდა 50%-ს. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს კომპანია აღიარებულია როგორც მეკავშირე საწარმო.

## 22. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

## 23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის განმავლობაში და თანმიმდევრულად გამოიყენება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

### (a) კონსოლიდაციის საფუძველი

#### (i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან აქვს უფლებები ცვალებად ამონაგებზე საწარმოსთან ჩართულობით და შესწევს უნარი იმოქმედოს ხსენებულ შემოსავლებზე, საწარმოზე მისი უფლებების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებთან მორგების მიზნით. ზარალი, რომელიც უკავშირდება არამაკონტროლებელ წილს შვილობილ კომპანიაში, განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე იმ შემთხვევაშიც, კი თუ ასეთი ქმედება იწვევს არამაკონტროლებელის წილების დეფიციტურ ნაშთს.

#### (ii) ასოცირებული სუბიექტები

ასოცირებული არის ის სუბიექტები, რომლებშიც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არა კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკაზე. მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ფლობს სხვა სუბიექტის ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე.

ასოცირებულ საწარმოებში პროცენტები აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის ჯგუფის წილი მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში კაპიტალით აღრიცხული ინვესტიციების, კორექტირების შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიზნით, მნიშვნელოვანი გავლენის დაწყების თარიღიდან მნიშვნელოვანი გავლენის შეწყვეტამდე.

როდესაც ჯგუფის ზარალის წილი აღემატება მის წილს კაპიტალში აღრიცხულ ინვესტიციაში, ამ პროცენტის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციის ჩათვლით, მცირდება ნულამდე და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აქვს ვალდებულება ან განხორციელებული აქვს გადახდები ინვესტირებული პირის სახელით.

#### (iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული გარიგებები

შიდა ჯგუფური ნაშთები და გარიგებები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური გარიგებებიდან, ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

**(b) შემოსავალი**

**(i) მომსახურებები**

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე კლიენტს. ჯგუფი შემოსავლებს ღებულობს ძირითადად ელექტროენერჯის გადაცემის საფუძველზე. შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში მომსახურებების გაწევის შესაბამისად, გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერჯის ყოველთვიური მოცულობის და მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფის საფუძველზე. ხელშეკრულებები კონტრაქტებთან არ ითვალისწინებს ფასდაკლებებს და ანგარიშფაქტურები გადასახდელია ყოველთვიურად.

პროგრესის შეფასება ეფუძნება გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერჯის ფაქტობრივ მოცულობას. ელექტროენერჯის ტრანზიტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფები მითითებულია კონტრაქტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

**(ii) სახელმწიფო გრანტები**

სახელმწიფო გრანტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება მოგებაშიან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდებში, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას.

**(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები**

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ინვესტირებული ფულადი სახსრების საპროცენტო შემოსავალს;
- მოგება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებაზე.
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯები, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის მეთოდით მოგებაში ან ზარალში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

**(d) გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

**(i) გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში გამოხატული გარიგებები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში გარიგებების განხორციელების თარიღისთვის მოქმედი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. საანგარიშგებო თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის არსებულ, სამუშაო ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც დაანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

**(ii) უცხოური ოპერაციები**

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში გარიგებების განხორციელების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება გასხვისების შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის ნაწილის სახით.

**(e) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები**

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არა-დისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურებების გაწვევითანავე. ვალდებულების აღიარება ხდება იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი ფულადი ბონუსით ან მოგების გაზიარების გეგმებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გააჩნია აღნიშნული თანხის ანგარიშსწორების მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება თანამშრომლის მიერ წარსულში განხორციელებული მომსახურების შედეგად და ვალდებულება შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

**(f) ანარიცხები**

ანარიცხის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, ჯგუფს გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების დაფარვის მიზნით. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარებულია ფინანსური ხარჯის სახით.

**(გ) მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია საწარმოთა გაერთიანებასთან, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღირებულ ერთეულებთან.

**(ი) მიმდინარე გადასახადი**

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან..

მოგების გადასახადით დაბეგრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, არამედ მოგების გადასახადით დაბეგრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებისმიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, კონკურენტული ტრანსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირებთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადასახდელს, რაც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდება და ზღვრულ მოცლობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

გადასახადის ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილ მიმდინარე გადასახადთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოგება განაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ხარჯის სახით როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება მიუხედავად ანგარიშსწორების ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა, რომელთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა დივიდენდების გადახდას. დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის თანხა გაანგარიშებულია, როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას იმ კონკრეტულ გარიგებებზე, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცლობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ასეთი ტრანზაქციის დაბეგრას თვლის „ბასს 12 - მოგების გადასახადები“ - მოქმედების ფარგლებს გარეთ და გადასახადებს მსგავს ერთეულებზე აღრიცხავს, როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.



**(h) მარაგები**

მარაგები ფასდება მის თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შექმნასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო გაყიდვის ფასს, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

**(i) ძირითადი საშუალებები**

**(i) აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები, მიწის გარდა, ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებით, ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივების შექმნასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზირებულ სესხის ხარჯებს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზირდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულის ძირითადშემადგენელ ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებით სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში, მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასებული აქტივის გაყიდვისას, ნებისმიერი დაკავშირებული თანხა, რომელიც შეტანილია გადაფასების რეზერვში გადაფასების ნამეტის სახით, გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

**(ii) შემდგომი ხარჯები**

ძირითადი საშუალების ერთეულის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტის ფარგლებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მათი გაწვევისთანავე.

**(iii) ცვეთა**

ძირითადი საშუალებების ერთეულებს ცვეთა ერიცხებათ მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა ძალებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. 2011 წლამდე შექმნილი აქტივების ცვეთა განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მოიპოვებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის ბოლოს. მიწას ცვეთა არ ერიცხება..

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესაძარისი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

– შენობა-ნაგებობები	15-25 წელი;
– ელექტროგადამცემი ხაზები	20-35 წელი;
– მოწყობილობა	10-25 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	5-7 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და კორექტირდება შესაბამისად.

**(j) არამატერიალური აქტივები**

**(i) სხვა არამატერიალური აქტივები**

სხვა არამატერიალური აქტივები, რომელიც შეიძინა ჯგუფმა, რომელთაც აქვთ სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები, შეფასებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალები. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს საოპერაციო ლიცენზიებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

**(ii) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ზრდის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც განივთრებულია კონკრეტულ აქტივში, რომელსაც ის უკავშირდება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის ხარჯი კომპანიის შიგნით წარმოქმნილ გუდვილზე და ბრენდებზე, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისას.

**(iii) ამორტიზაცია**

ამორტიზაცია ეფუძნება აქტივის თვითღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო ნარჩენი ღირებულება. ამორტიზაცია ზოგადად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, გუდვილის გარდა, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის, რადგან აღნიშნული ყველაზე კარგად ასახავს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესაძარისი პერიოდებისთვის 3-5 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და კორექტირდება შესაბამისად.

**(k) სხვა გრძელვადიანი აქტივები**

სხვა გრძელვადიანი აქტივები შეფასებულია თვითღირებულებით. ისინი ძირითადად მოიცავენ დაუმონტაჟებელ მოწყობილობას. კაპიტალიზაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აქტივები აღირიცხება ძირითად საშუალებებად გამოყენების დროს ან აღიარდება ხარჯის სახით თუ ისინი გამოყენებულია ტექნიკური მომსახურების მიზნებისთვის.

## (I) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები“ -ს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არაფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების აღიარებისა და შეფასებისთვის.

### (i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მათი წარმოშობისას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით დამატებული, ინსტრუმენტისთვის, რომელიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვითგარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია მის შემენასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

### (ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება:: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – სავალო ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – ინვესტიცია კაპიტალში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ თუ ჯგუფი არ შეცვლის თავის ბიზნეს მოდელს ფინანსური აქტივების მართვისთვის, რა შემთხვევაშიც ყველა ხსენებული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველ დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ პირობებს და არ განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივი ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

სავალო ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ პირობებს და არ განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

კაპიტალში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის ფლობილი სავაჭროდ, ჯგუფს შეუძლია შეუქცევად ასახოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში . ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც აღწერილია ზემოთ, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. . თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია შეუქცევად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნას შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, თუ აღნიშნული გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად შემაჯირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, რომელიც წარმოდგენილია შენიშვნაში 10 და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც წარმოდგენილია შენიშვნაში 11 და კლასიფიცირებულია ფინანსური აქტივებში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში. აღნიშნული აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკის ნაშთებს სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით შეძენის თარიღიდან, რომელიც ექვემდებარება სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს სავაჭროდ ფლობილის განსაზღვრებას ან განსაზღვრულია ამგვარად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგებით და ზარალით, მათ შორის ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა, რომელიც გამოწვეულია ცვლილებებით ჯგუფის საკუთარ საკრედიტო რისკში, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს სესხებს დაკავშირებული მხარეებიდან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც წარმოდგენილია მე-15 და მე-17 შენიშვნებში, შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი აფასებს ყველა თავის ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით.

### **(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება**

#### **ფინანსური აქტივები**

იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება ფინანსური აქტივების პირობები, ჯგუფი აფასებს არსებითად განსხვავდება თუ არა მოდიფიცირებული აქტივის ფულადი ნაკადები. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია (მითითებულია, როგორც „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან ამოწურულად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას იმის დასადგენად არის თუ არა მოდიფიცირება არსებითი, ე.ი. არის თუ არა თავდაპირველი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები და მოდიფიცირებული ან შეცვლილი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული. ჯგუფი აფასებს მოდიფიცირების არსებითობას რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების საფუძველზე შემდეგი თანმიმდევრობით: თვისობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების კომბინირებული ეფექტი. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია, მაშინ სახელმწიფო უფლებები ფულად ნაკადებზე თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან ამოწურულად ჩაითვლება. აღნიშნული შეფასებისას, ჯგუფი იყენებს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის ანალოგიურ სახელმძღვანელო მითითებებს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგი თვისობრივი ფაქტორების შედეგად:

- ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო პირობების ცვლილება;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რაც იწვევს შეუსაბამობას SPPI კრიტერიუმთან. (მაგ. კონვერსიის თვისება).

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოდიფიცირებული აქტივის ფულადი ნაკადები არ არის არსებითად განსხვავებული, მაშინ მოდიფიკაცია არ გამოიწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი გადათვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და აღიარებს თანხებს, რომელიც წარმოიშობა მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებიდან, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება გადაანგარიშდება გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელმწიფო უფლებების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის ნარჩენ ვადაში.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ჯგუფი წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია. ასეთ შემთხვევაში, ახალი ფინანსური ვალდებულება, მოდიფიცირებული პირობების საფუძველზე, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა განულებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებულ ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ გამოიწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკას ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირების მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ე.ი. ჯგუფი აღიარებს ნებისმიერ კორექტირებას ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაში, რომელიც წარმოიშობა აღნიშნული მოდიფიცირებით (ან გაცვლით) მოგებაში ან ზარალში მოდიფიცირების თარიღისთვის (ან გაცვლის თარიღისთვის).

ცვლილებები ფულად ნაკადებში არსებულ ფინანსურ ვალდებულებებზე არ ითვლება მოდიფიცირებად, თუ ისინი გამომდინარეობს არსებული სახელმწიფო უფლებებიდან, ე.ი. ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ სესხის ხელშეკრულება ასეთი ქმედების უფლებას ანიჭებს ბანკებს და ჯგუფს აქვს უფლება მიიღოს გადახედული განაკვეთი ან გამოისყიდოს სესხი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გარეშე.

ჯგუფი განიხილავს საპროცენტო განაკვეთის მოდიფიკაციას მიმდინარე საბაზრო განაკვეთით, მცურავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად კორექტირდება.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას იმის დასადგენად არის თუ არა მოდიფიცირება არსებითი, თვისობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების კომბინირებული ეფექტის გამოყენებით. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგი თვისობრივი ფაქტორების შედეგად:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო პირობების ცვლილება;
- კონვერსიის ოფციონის ჩართვა;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისთვის პირობები არსებითად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საფასური მიღებული და დისკონტირებული საფასურის გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია მოგების ან ზარალის ნაწილად დაფარვისას. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

#### **(v) აღიარების შეწყვეტა**

##### **ფინანსური აქტივები**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე ფინანსური აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას ან რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს და არ იტოვებს საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ჯგუფი აფორმებს გარიგებებს, რომლის საფუძველზე ის გადასცემს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ასეთ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

##### **ფინანსური ვალდებულებები**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი პირობები მოდიფიცირდება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, ასეთ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება, მოდიფიცირებული პირობების საფუძველზე, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა დაფარულ საბალანსო ღირებულებასა და დაგადახდილ ანაზღაურებას შორის (მათ შორის ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივები ან ნაკისრი ვალდებულებები) აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

**(vi) ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა ოდენობა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ურთიერთჩათვლის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ჯგუფს აქვს ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული რაიმე მომავალ მოვლენაზე და იურიდიულად აღსრულებადია საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის რეჟიმში და ჯგუფის და ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

**სესხები და მოთხოვნები**

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრადი ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით დამატებული ნებისმიერი უშუალოდ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულების მიხედვით ეფექტური პროცენტი მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში, და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - მე-12 შენიშვნაში.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროს და საბანკო ნაშთებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს.

**არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება**

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი უშუალოდ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

**(m) სააქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფიონის გამოშვებასთან შედეგად უშუალოდ დაკავშირებული დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან დაქვითვის სახით (ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გარეშე).

(n) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

ჯგუფი აფასებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სასიცოცხლო ვადის ტოლი ოდენობით, ქვემოთ მოცემულის გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებზეც საკრედიტო რისკი (ე.ი. დეფოლტის რისკი ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელმწიფოებო აქტივებთან დაკავშირებული ზარალის რეზერვები ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

იმის განსაზღვრისას მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს დასაბუთებულ და დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საკრედიტო შეფასების საფუძველზე და მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

ჯგუფი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ ის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად, როდესაც::

- მსესხებელს არ შეუძლია სრულად დაფაროს თავისი საკრედიტო ვალდებულებები ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ ისეთი ზომების მიღების გარეშე, როგორცაა უზრუნველყოფის რეალიზაცია (ასეთი ფლობის შემთხვევაში)
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია;

ჯგუფი თვლის, რომ სავალო ფასიან ქაღალდს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი გლობალურად მიღებული განმარტების - „საინვესტიციო ხარისხის - ეკვივალენტურია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევის შედეგად, ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიწარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმნაწილს, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის შემთხვევებიდან (ან უფრო მოკლე ვადაში, თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოქმედების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას მაქსიმალური პერიოდი არის მაქსიმალური სახელმწიფოებო პერიოდი, რომლის განმავლობაში ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.



### *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო ზარალების ალბათობებით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება როგორც ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებას ელოდება ჯგუფი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით..

### *საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები*

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები საკრედიტო რისკით გაუფასურებული. ფინანსური აქტივი „საკრედიტო რისკით გაუფასურებულია“ როდესაც ადგილი აქვს ერთ ან მეტ მოვლენას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკით გაუფასურების დამადასტურებელი ფაქტორები მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა დეფოლტის ან 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების სახით;
- სესხის რესტრუქტურისა ან ავანსი ჯგუფის მიერ იმ პირობებში, რომელსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- არსებობს მსესხებლის გაკოტრების ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა; ან
- ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

### **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი გამოიქვეითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან

#### *ჩამოწერა*

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენის გონივრული მოლოდინები. ჯგუფი ინდივიდუალურად ახორციელებს შეფასებას ჩამოწერის ვადებთან და ოდნობასთან დაკავშირებით იმის საფუძველზე არსებობს თუ არა აღდგენის გონივრული მოლოდინები. ჯგუფი არ ელოდება ჩამოწერილი თანხიდან მნიშვნელოვან ამოღებას. თუმცა ფინანსური აქტივი, რომელიც ჩამოწერილია, შესაძლოა კვლავ დაექვემდებაროს აღსრულების მოქმედებებს გადასახდელი თანხების ამოღების პროცედურების შესრულების მიზნით.

#### **(ii) არაფინანსური აქტივები**

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, განიხილება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მინიშნება. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისთვის, აქტივები, რომელთა შემოწმება ინდივიდუალურად შეუძლებელია, დაჯგუფდება იმ აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ფულად შემოსულობებს უწყვეტი გამოყენებისგან, რაც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ფულადი შემოდინებებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნიან ცალკე ფულად შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და სათანადო საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ფარგლებში, რომელზეც განაწილდა კორპორატიული აქტივი.

აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს მის გამოყენებით ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესს, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია თუ აქტივის ან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) და შემდეგ სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებების შესამცირებლად ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) პროპორციულ საფუძველზე.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალების შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში თუ განხორციელდა ცვლილებები იმ შეფასებებში რომლებიც გამოიყენება ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

## (o) იჯარები

ჯგუმა გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და შესაბამისად შესადარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და წარმოდგენილიაბასს 17 და ფასიკ 4- 4-ის მიხედვით. სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის შესაბამისად წარმოდგენილია ცალკე.

ხელშეკრულების გაფორმებისას, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან მოიცავს იჯარას იმ შემთხვევაში, თუ ის გადასცემს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად მოიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას , ჯგუფი იყენებს იჯარის განსაზღვრებას ფასს 16-ის მიხედვით.

**(i) როგორც მოიჯარე**

ისეთი ხელშეკრულების გაფორმების ან მოდიფიცირების დროს, რომელიც მოიცავს საიჯარო კომპონენტს, ჯგუფი ანაწილებს ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე მათი შესაბამისი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლების ფორმით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შემდეგ გაუფასურდება წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო ვადის დაწყების თარიღიდან მის დასრულებამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის ოფციონის გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში გაუფასურდება აქტივი გამოყენების უფლების ფორმით საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება იმავე საფუძველზე, როგორც ძირითადი საშუალებები. გარდა ამისა, აქტივი გამოყენების უფლების ფორმით პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისთვის, დისკონტირებული იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით ან თუ შეუძლებელი იქნება ამ განაკვეთის განსაზღვრა, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად ჯგუფი იყენებს მზარდ სასესხო განაკვეთს როგორც დისკონტის განაკვეთს.

ჯგუფი განსაზღვრავს მზარდ სასესხო განაკვეთს საპროცენტო განაკვეთების მოპოვებით სხვადასხვა გარეშე ფინანსური წყაროებიდან და ახორციელებს კონკრეტულ შესწორებებს იჯარის პირობების და საიჯარო აქტივის ასახვისთვის.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, თავდაპირველად შეფასებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების დღეს.
- თანხები, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში; და
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოფციონის ფარგლებში, რომლის გამოყენებაშიც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მისი ხელახლა შეფასება ხდება როდესაც არსებობს ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რაც ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით არის გამოწვეული, თუ არსებობს ცვლილება ჯგუფის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი თანხის შეფასებაში, თუ ჯგუფი შეცვლის თავის შეფასებას იმასთან დაკავშირებით გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონს ან თუ არსებობს შესწორებული არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება ხელახლა შეფასდება ამ სახით, შესაბამისი შესწორება ხორციელდება გამოყენების უფლების ფორმის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება ნულამდე.

ჯგუფი წარმოადგენს აქტივს გამოყენების უფლების ფორმით, რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას „ძირითად საშუალებებში“ და საიჯარო ვალდებულებებს „სესხებში და კრედიტებში“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### **მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარები**

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს აქტივი გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების აქტივების და მოკლევადიანი იჯარებისთვის. ჯგუფი აღიარებს აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს როგორც ხარჯს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში..

#### **(ii) როგორც მეიჯარე**

იმ კონტრაქტის გაფორმებისას ან მისი მოდიფიცირების დროს, რომელიც მოიცავს საიჯარო კომპონენტს, ჯგუფი ანაწილებს ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე შესაბამისი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე, ის განსაზღვრავს იჯარის დაწყებისას იჯარა ფინანსური იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისას ჯგუფი ახდენს საერთო შეფასებას იმისა, გადასცემს თუ არა იჯარა არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს საბაზისო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებით. თუ კი -ამ შემთხვევაში იჯარა არის ფინანსური იჯარა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არის საოპერაციო იჯარა. ამ შეფასების ფარგლებში ჯგუფი ითვალისწინებს კონკრეტულ ინდიკატორებს, როგორცაა არის თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

როდესაც ჯგუფი არის შუამავალი მეიჯარე, ის აღრიცხვას თავის წილს ძირითად იჯარაში და ქვე-იჯარაში ცალკე. ის აფასებს ქვე-იჯარის საიჯარო კლასიფიკაციას გამოყენების უფლების აქტივის მითითებით, რომელიც წარმოიშობა ძირითადი იჯარიდან და არა საბაზისო აქტივზე მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი იჯარა არის მოკლევადიანი იჯარა, რომელზეც ჯგუფი იყენებს ზემოთ აღწერილ გამოწვევას, მაშინ ის ქვე-იჯარის კლასიფიკაციას ახდენს, როგორც საოპერაციო იჯარას.

თუ შეთანხმება მოიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი იყენებს ფასს 15-ს ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურების მოთხოვნებს წმინდა ინვესტიციაზე იჯარაში. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს შეფასებულ არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს, რომლებიც იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოიყენება.

ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადახდებს, რომლებიც მიღებულია საოპერაციო იჯარების ფარგლებში, როგორც შემოსავალს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ ფარგლებში.

## 24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელთა ათვლა იწყება 2022 წლის 1 იანვრიდან და დაშვებულია მათი ნაადრევად გამოყენება; თუმცა, ჯგუფმა ნაადრევად არ მიიღო ახალი ან შესწორებული სტანდარტები, კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობების გარდა (ფასს 16-ის კორექტირება) წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები დანიშნულებით გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში).
- მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილება ფასს 3-ში);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ცვლილება ბასს 1-ში);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ცვლილებები ფასს 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებები.
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი (ცვლილებები ბასს 37-ში);
- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ფაზა 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები (ცვლილება ფასს 16-ში);
- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (ცვლილებები ბასს 1 და ფასს პრაქტიკული რეკომენდაცია 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (ცვლილებები ბასს 8-ში).